საქართველოს მთავრობის

დადგენილება №499

2014 წლის 15 აგვისტო

ქ. თბილისი

„ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში (სსმ, №103, 24/08/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის:

1. პირველი მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ“ ქვეპუნქტი:

„კ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცული ტერიტორიების სააგენტოს (შემდგომში - დაცული ტერიტორიების სააგენტო) მიერ დაცული ტერიტორიის მიმდებარედ მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის მიერ დაცულ ტერიტორიებზე ხე-ტყის დამზადებისას ერთი კუბური მეტრი მერქნის მოპოვებისათვის გაწეული მომსახურების საფასურის ოდენობა.“.

2. მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. დაცული ტერიტორიების სააგენტო ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მომსახურებას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამ დადგენილებით განსაზღვრული საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე.“.

3. მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. ამ წესის №4 დანართის 5.1 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების საფასური აგრეთვე ვრცელდება დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ დაცულ ტერიტორიაზე გაწეულ მომსახურებაზე.“.

4. მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. ამ მუხლის 1^1 პუნქტით განსაზღვრული საფასური გადაირიცხება დაცული ტერიტორიების სააგენტოს ანგარიშზე.“.

5. 27^1 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ჰიდროკვანძების, მილსადენების, გზების, ელექტროგადამცემი კომუნიკაციების, არხების ფუნქციონირებისათვის, მშენებლობისათვის, რეკონსტრუქციისათვის (რეაბილიტაციისათვის) ან დემონტაჟისათვის ან ამისათვის საჭირო საპროექტო ან/და საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოებისათვის;“.

6. 27^4 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ჰიდროკვანძების, მილსადენების, გზების, ელექტროგადამცემი კომუნიკაციების, არხების ფუნქციონირებისათვის, მშენებლობისათვის, რეკონსტრუქციისათვის (რეაბილიტაციისათვის) ან დემონტაჟისათვის ან ამისათვის საჭირო საპროექტო ან/და საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოებისათვის, წიაღის შესწავლისა და/ან მოპოვებისათვის, ნავთობისა და გაზის ოპერაციების ჩასატარებლად, სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის, სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ მინისტრის ბრძანებაში ან/და საქართველოს მთავრობის განკარგულებაში მიეთითება მართვის ორგანოსთან შეთანხმებული, ტყითსარგებლობაში გადაცემული ფართობის ტოლფასი ფართობი (ფართობები),

ტყითსარგებლობასთან დაკავშირებული რეკრეაციულ/საკონსერვაციო დანიშნულების საკომპენსაციო ღონისძიებების სახე, ამ ღონისძიებების განხორციელების ვადები და ადგილმდებარეობა (არ გავრცელდეს ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე დაწყებულ სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის უფლების მინიჭებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებებზე).“.

მუხლი 2

1. ეს დადგენილება, გარდა პირველი მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებისა, ამოქმედდეს 2014 წლის 1 სექტემბრიდან.
2. ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**